ქ. თბილისში, დ. უზნაძის №28 და უ. ჩხეიძის №17-ში შენობების აზომვითი სამუშაოების ჩატარება.

შენობის დემონტაჟის

საექსპერტო დასკვნა

კონსტრუქციული ნაწილი

ს. ტ. უ – ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტთან არსებული „არქცენტრი"– ის და ფიზიკურ პირს ჯ. ვაშაკიძეს (პირადი №01015020228) შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარებული იქნა ზემოთაღნიშნულ მისამართზე შენობის ვიზუალური დაკვირვება-გამოკვლევა.

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი – №01.13.08.011.038. საკადასტრო გეგმაზე შენობა ნაგებობა – №05/2.

სადემონტაჟო შენობა ორსართულიანია. აშენებულია დაახლოებით მე-20 საუკუნის 70-ან წლების მერე **(სურ №1.)**. მზიდი კედლების სისქით 40სმ. წყობა წარმოადგენს სილიკატურ აგურს. შენობას პირველ და მეორე სართულზე გააჩნია 40X40სმ სეისმური სარტყელი.



(სურ №1.)

პირველი სართული გადახურულია სიმკარებით, ხოლო მეორე სართული ხის ნივნივებით (მსუბუქი გადახურვა თუნუქით).

სადემონტაჟო შენობასა და უ. ჩხეიძის ქუჩიდან, მოსახლეობის შესასვლელი ეზოს მოპირდაპირე მხრიდან საცხოვრებელ ნაგებობებს გააჩნიათ საერთო კედელი **(სურ. №2, სურ. №3)**.



(სურ. №2.).



(სურ. №3.).

სურ. №2 და სურ. №3 ზე შეულესავ კედელზე შეიმჩნევა, რომ ადრინდელ აგებულ ბლოკის წყობაზე დაშენებულია მეორე სართულის ნაწილის სილიკატური აგურის წყობა, რკინაბეტონის სარტყელის ჩანართით.

კედლის წითელი (რუსული) აგურის ნაგებობაში, რომელიც უფრო ადრინდელი ნაშენებია **(სურ. №3.)** ჩატანებულია ხის ჯვარედინა სეისმური სარტყელი.



(სურ. №4.).

ეზოს მარჯვენა მხარეს ესაზღვრება სამსართულიანი შენობის 70სმ – ანი სისქის აგურის კედელი. რომელიც საჭიროებს დემონტაჟს. **(სურ. №4, სურ. №5)**.

მობინადრის ავტოსადგომის მარჯვენა კედელი **(სურ. №4, სურ. №5)** მზიდი კედლის (სადემონტაჟო კედლის) ნაწილია.

/



(სურ. №5.).

დასკვნები და რეკომენდაციები:

1. ეზოს მოპირდაპირე მხარეს, მომიჯნავე კედლის ნაწილობრივ დემონტაჟამდე, მის გასწვრივ მთელ სიგრძეზე და არსებული შენობების სიგანეზე უნდა მოეწყოს დამცავი ბადეები. სამშენებლო მასალების ჩამოცვენისას ნაგებობების დაზიანების დაცვის უსაფრთხოების მიზნით. კედლის დონე შენარჩუნდეს ყველაზე მაღალი სახურავის დონემდე.
2. ეზოს სამშენებლო მტვრისაგან დაცვის მიზნით ჩატარებული იქნას შესაბამისი ღონისძიებები.
3. ეზოს შესასვლელის მარჯვენა მხარის კედლის დემონტაჟამდე, გადაიხუროს დამცავი ბადეებით 4,5 მ – ის სიმაღლით მთელ სიგრძეზე.
4. ა) ავტოსადგომის მარჯვენა კედელი დაყვანილი და შენარჩუნებული იქნას 40 სმ. სისქის მზიდ კედლამდე.

ბ) ავტოსადგომის მარჯვენა მხარე (ეზოს მხრიდან) დროებით გამაგრებულ იქნას დროებითი სამაგრებით. ახალი კედლის ან შენობის მონტაჟის მერე დაუბრუნდეს არსებული პირვანდელი მდგომარეობა.

გ) კედლის დემონტაჟისა და მონტაჟის შემდეგ ისევ იმ ადგილას მოხდეს ავტოსადგომის აშენება.

დ) ავტოსადგომის დემონტაჟის შემთხვევაში, მეპატრონეს აუნაზღაურდეს მიყენებული ზარალი.

5. დ. უზნაძისა №28 და უ. ჩხეიძის №17–ში, ტერიტორიის შიგნით არსებული შენობების დემონტაჟის დროს დაცული და გათვალისწინებული იქნას მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, შრომის დაცვის უსაფრთხოების წესები და СниП-III-4-80* „ უსაფრფხოების ტექნიკა მშენებლობაში.“

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისა და დაცვის შემდეგ შესაძლებელია შენობების დემონტაჟი.

ინჟინერ – კონსტრუქტორი 5.3.2024 ჯ. ვაშაკიძე